თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 15

„30“ მარტი 2016 წელი

## თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების შესახებ

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №54 დადგენილებით დამტკიცებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად,

1. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხით თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფინანსდეს თანდართული ინფრასტრუქტურული პროექტები.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მისქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

დანართი

| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | | | | |
|---|---|---|---|---|
| N | სოფლის დასახელება | სამუშაო | სახელმწიფო დაფინანსება ათ.ლარი | ადგილობრივი თანადაფინანსება ათ.ლარი |
| 1 | ვანთა | სტადიონი, საპირფარეშო და სტადიონთან არსებული კედლის გამაგრება | 80 | |
| 2 | წინანდალი (თანადაფინანსების თანხა) | სპორტკომპლექსი და გზა | 250 | |
| 3 | წინანდალი | ბაგა-ბაღი | 84.831 | 9.74 |
| 4 | წინანდალი | წყლის ქსელი | | |
| 5 | კონდოლი | წყალი | 30 | |
| 6 | შალაური | წყალი | 198.169 | |
| 7 | ვარდისუბანი | კულტ-სახლი | 24 | 21 |
| 8 | ფშაველი | ბაღი | 100 | |
| 9 | სანიორე | სპორტდარბაზი | 57 | 46 |
| 10 | სანიორე | წყლის ქსელი | 5 | |
| 11 | ლალისყური | ტრენაჟორების ოთახი | 10 | |
| 12 | ლაფანყური | ბაგა | 10 | 13 |
| 13 | ყარაჯალა | განათება | 10 | |
| 14 | ნაფარეული | ბაღი | 30 | 13 |
| 15 | რუისპირი | გარე-განათება | 7.996 | |
| 16 | ბუშეტი | წყლის ქსელი | 25 | |
| 17 | გულგულა | სტადიონი | 20 | |
| 18 | ართანა | ბაღი | 20 | |
| 19 | სულ ჯამი | | *961.996* | *102.74* |

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი